



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა [სსიპ - საქართველოს ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის] მიერ
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ¹



ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ია მოსაშვილი, სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ნიკა ფარჯანაძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2021

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

¹ შენიშვნა: მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	205304357
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ილია ჭავჭავაძის გამზირი # 49, თბილისი
ვებ-გვერდი	http://sportuni.ge/
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	402809, 22/05/2020, ძალაშია 2021 წლის 8 მაისიდან
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	8/05/2026

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

<p>აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:</p> <p>სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 5 21 0000445798 ბრძანების, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ - თანახმად 2021 წლის 28 მაისს განხორციელდა ვიზიტი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არაგეგმიური მონიტორინგის საფუძველი იყო დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი 2021 წლის 31 მარტის №307762 წერილი, რომლის შესაბამისად, დაწესებულებამ ცენტრს აცნობა ფართის ცვლილების შესახებ. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N26-ში არსებული დროებითი ფართის შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფმა შეფასება განახორციელა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის 7.1, 7.2, 7.3 და 7.4 კომპონენტების შესაბამისად.</p> <p>ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის შესწავლა. უსდ-მ დროულად მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ანგარიში ეყრდნობა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ფართის დათვალიერებით შედეგად მიღებულ ინფორმაცას. მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, შეფასდა მხოლოდ ფართის დამატებასთან დაკავშირებული სტანდარტები და კომპონენტები და შესაბამისად, მონიტორინგის ფარგლებში არ მომხდარა უსდ-ს სრული შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში.</p> <p>მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:</p>
--

<input type="checkbox"/> ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
<input type="checkbox"/> სტუდენტთა კონტინენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
<input type="checkbox"/> საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
<input type="checkbox"/> შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი: _____	
უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:
2	

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- რეკომენდირებულია პრაქტიკული მეცადინეობისათვის ზოგიერთი ფართის კეთილმოწყობა;
- რეკომენდირებულია დროულად ჩატარდეს ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებული შენობა-ნაგებობის გამაგრებით სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის გრძელვადიან განვითარებას.
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ ბიუჯეტში დროულად განსაზღვროს საკმარისი თანხა შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად.
- დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პასუხი. არგუმენტირებულ პასუხში უნივერსიტეტი ეთანხმება ექსპერტთა მოსაზრებას და შესაბამისად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა არ ექვემდებარება ცვლილებას.

² აღნიშნული ჩამონათვალიდან დაწესებულების მონიტორინგი არ უკავშირდება არცერთს, ამიტომ, არ მოინიშნა. დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდა ფართის დამატებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისია მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ის მისია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. საგანმანათლებლო პროგრამები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. უსდ-ის პერსონალი		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. დავით სიხარულიძე (თავმჯდომარე)



2. ია მოსაშვილი (წევრი)



3. ნიკა ფარჯანაძე (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 3 21 0000307762 ბრძანების, სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ - თანახმად 2021 წლის 28 მაისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული სასწავლო ფართის ცვლილების შეფასება ავტორიზაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებულ ფართთან ერთად სასწავლო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო მიზნებისთვის

იყენებს თბილისი, ანა პოლიტოვსკაიას ქ. N26-ში (სართული - V, საერთო ფართით 877.31 კვ.მ) არსებულ ფართს.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებულ ფართით 11 601,92 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებულია შენობა-ნაგებობები (მიწის (უძრავი ქონების).

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მოიცავს 1 შენობა-ნაგებობას. სარდაფი - 540.58 კვმ; 00 - 3572,64 კვმ; 01 - 1971 კვმ, 02 - 1517 კვმ, 03 - 1362,91 კვმ და 04 - 1360,53 კვმ. 05 - 276,76 კვმ.

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა გაუთვალისწინებელი გარემოებების, კერძოდ უნივერსიტეტის ძირითადი შენობის ავარიული მდგომარეობის გამო დროებით შეიცვალა მისამართი. არსებულ მისამართზე მხოლოდ ადმინისტრაციის წარმომადგენლები არიან. ახალ მისამართზე ხორციელდება მხოლოდ თეორიული სწავლება, ხოლო პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებულ ფართში. სასწავლო უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს „საქართველოში სამოყვარულო და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის, სპორტის მენეჯმენტისა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში ღრმა კომპეტენციის მქონე სპეციალისტების მომზადების გზით, რისთვისაც იგი, როგორც ეროვნულ, ისევე საერთაშორისო დონეზე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ახორციელებს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ხელს უწყობს სტუდენტების ჰარმონიულ განვითარებას და მათ სწრაფ ადაპტაციას შრომით ბაზარზე“.

28 მაისის ვიზიტი ითვალისწინებდა, როგორც დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებას, ასევე არსებული და ახალი ფართის დათვალიერებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზისა და დათვალიერების მიხედვით ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებულ ფართს (10601 კვ.მ) გააჩნია ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები, არქივი. თუმცა აღნიშნული შენობის ძირითადი ბლოკი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით „ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში (ნაკვეთი 08/086) მდებარე სსიპ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შენობის არაერთგვაროვანი ტექნიკური მდგომარეობა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა. „შენობის ცალკეული ნაკვეთურების სადემონტაჟო სამუშაოების საჭიროებასთან დაკავშირებით #003641819 დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები ძალაში რჩება, ხოლო სასწავლო კორპუსის დანარჩენი, ძირითადი ნაწილის უსაფრთხო ექსპლუატაცია გაძლიერების გარეშე საფრთხის შემცველია, ამიტომ დაფიქსირებული დეფორმაციის მასშტაბები და მათი პროგრესული განვითარება, მათი შემდგომი ექსპლუატაციის ვადებთან დაკავშირებით შესაბამისად პროგნოზირების საშუალებას არ იძლევა. ამგვარად, არსებული შენობა-ნაგებობა ექსპლუატაციისათვის წარმოადგენს საფრთხეს“.

ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში მდებარე ფართზე არსებულ შენობა ნაგებობებში ხორციელდება პრაქტიკული მეცადინეობები: დაწესებულება იყენებს სტადიონს მრავალმხრივი

გამოყენებისათვის, დაწესებულებას გააჩნია ჩონგბურთის მოედანი, ტანვარჯიშის დარბაზი და ფართები სხვადასხვა სპორტული აქტივობებისათვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შენობის აზომვითი ნახაზის საფუძველზე გამიჯნულია სასწავლო და დამხმარე ფართი. კერძოდ: სასწავლო აუდიტორია, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს წიგნსაცავს. თუმცა, დათავლიერებისას გამოვლინდა, რომ პრაქტიკული მეცადინეობისათვის ზოგიერთი ფართი საჭიროებს კეთილმოწყობას.

დაწესებულებამ წარმოადგინა ასევე დათავლიერებისას გამოვლენილი მოძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი, კერძოდ სასაწყობე ნაშთის ინვენტარიზაციის უწყისი; კომპიუტერების, ლეპტოპების, მიკროსკოპების, სპორტული ინვენტარის, ორძელის, სამასაჟე მაგიდის, საკონტაქტო ბალიშის და ა.შ ფლობის ხელშეკრულებები და მიღება ჩაბარების აქტები.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება შემდეგი პროგრამები: ფიზიკური აღზრდის და სპორტის (მწვრთნელი), ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, სპორტის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა და ფიზიკური აღზრდის და სპორტის (მასწავლებლის) 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც გააჩნია თავანთი სპეციფიკა და ამ სპეციფიკის გათვალისწინებით, არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, მათ შორის სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა და შესაბამის დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N26-ში (სართული - V, საერთო ფართით 877.31 კვ.მ) არსებულ ფართის შესაფასებლად ექსპერტა ჯგუფი ეწვია ადგილზე დაწესებულებას და ანალიზისათვის, ასევე გამოიყენა დაწესებულების მიერ შემოთავაზებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი. დაწესებულებაში შენობის აზომვითი ნახაზის საფუძველზე გამიჯნულია სასწავლო და დამხმარე ფართი. კერძოდ: შენობის მეხუთე სართულზე არის 7 სასწავლო აუდიტორია, საპროფესორო, სადაც სტუდენტებს პერსონალი უწყევს კონსულტაციას. აღნიშნულ მისამართზე დაწესებულებას გააჩნია 2 ბიოქიმიისა და სამედიცინო ქიმიის ლაბორატორია და ბიბლიოთეკა.

ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N26-ში (სართული - V, საერთო ფართით 877.31 კვ.მ) არსებული ფართი დაწესებულებას გადაეცა 2021 წლის 15 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების „უძრავი ქონების დროებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“ საფუძველზე. ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის თანახმად დროებით 1 წლით უსასყიდლოდ სარგებლობაში გადაეცა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს. თუმცა როგორც გასაუბრებიდან ირკვევა, ხელშეკრულების გაგრძელება შესაძლებელია დაიგეგმოს.

შენობა-ნაგებობაში მოწყობილია და გამიჯნულია სანიტარიული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით და სათანადოდ მოწესრიგებულია. სანიტარიულ კვანძებში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. სანიტარიულ კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით; ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა; შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა.

შეფასების საფუძველზე ვლინდება, რომ სასწავლო უნივერსიტეტი თეორიული სწავლებისათვის იყენებს ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N26-ში არსებულ ფართს, ხოლო პრაქტიკული

მეცადინეობებისათვის ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებულ ფართს. დაწესებულებას გააჩნია 600-მდე აქტიური სტუდენტი (კონტიგენტის ზღვრული რაოდენობაა 800 სტუდენტი) და ჩვენი შეფასების საფუძველზე ვფიქრობთ შეუფერხებელი სასწავლო პროცესისათვის არსებული სასწავლო და პრაქტიკული მეცადინეობისათვის ფართები საკმარისია. თუმცა, ვფიქრობთ, რომ გრძელვადიანი განვითარებისათვის დროებითი ფართი საკმარისი არ იქნება. დაწესებულებას, რომელსაც გააჩნია ფუნქციონირების დიდი ხნის ისტორია, კულტურა და გამოცდილება კონკრეტულ სფეროში, სადაც მრავლმა ოლიმპიურმა, მსოფლიო თუ ევროპულმა ჩემპიონმა მიიღო განათლება, ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებული შენობა-ნაგებობა საჭიროებს დროულ გამაგრებით სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

აკადემიური და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტიანი განხორციელების მიზნით დაწესებულებას აქვს შეძენილი აუცილებელი ინვენტარი (უძრავი ქონება), რომლის მართლზომიერი მფლობელებისათვის გაფორმებულია მხარეებს შორის ხელშეკრულება ან/და მიღება ჩაბარების აქტი.

ჩვენს მიერ შემოწმებულ ყველა აუდიტორიას ჰქონდა როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. დაწესებულებაში შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმი. შენობის მეხუთე სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. შენობაში თვალსაჩინო ადგილას დამონტაჟებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები; შენობა-ნაგებობას გააჩნია საევაკუაციო გასასვლელები.

დაწესებულებას აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის სამედიცინო კაბინეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. სამედიცინო კაბინეტი არის ინვენტარით აღჭურვილი და მარაგდება მუდმივად ცხელი და ცივი წყლით;

წესრიგის დაცვის მიზნით, დაწესებულების შენობა-ნაგებობების მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული აქვს ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები;

შენობა უზრუნველყოფილია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის, კერძოდ პანდუსები და ლიფტები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის არსებობს შესაბამისად მოწყობილი სანიტარული კვანძი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- 2020-2026 წლის სტრატეგიული გეგმა
- უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები.
- მოძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტები
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებული შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- ანა პოლიტკოვსკაიას ქ. N26-ში არსებულ ფართის შიდა აზომვითი ნახაზი;
- სანიტარული ნორმების დაცვის ხელშეკრულება;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- უსაფრთხოების პოლიტიკა
- გასაუბრების შედეგები.
- კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- გათბობა - ვენტილაციის მონტაჟის ხელშეკრულება;
- სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა <http://sportuni.ge>

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია პრაქტიკული მეცადინეობისათვის ზოგიერთი ფართის კეთილმოწყობა;
- რეკომენდირებულია დროულად ჩატარდეს ი. ჭავჭავაძის გამზ. N49 -ში არსებული შენობა-ნაგებობის გამაგრებით სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის გრძელვადიან განვითარებას.

რჩევები:

შეფასება:

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

უსდ-ს ბიბლიოთეკისათვის გამოყოფილი სივრცე განაწილებულია ორ შენობაში. წიგნსაცავი მდებარეობს უსდ-ს ძირითად შენობაში, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N49, რომელშიც ამჟამად განთავსებულია უსდ-ს ადმინისტრაცია. წიგნსაცავის მცირე ნაწილს, სამკითხველო დარბაზი, ჯგუფური მუშაობის სივრცე, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე განთავსებულია ქ. თბილისში ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N26-ში, (სართული - V, საერთო ფართობით 877.31 კვ.მ); ამავე შენობაში არის აუდიტორიები, სადაც ტარდება ლექციები და განთავსებულია სასწავლო პროცესისათვის აუცილებელია ლაბორატორიები. ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N26-ში აუდიტორიებისა და ბიბლიოთეკის მოწყობის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, ჭავჭავაძის გამზ. N49 ნომერში მდებარე შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და არ არის რეკომენდებული შენობის გარკვეული ნაწილის სასწავლო პროცესისთვის გამოყენება. შესაბამისად, წიგნსაცავი დარჩა მითითებულ მისამართზე და სამკითხველო დარბაზი უსდ-მ განათავსა ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარე შენობაში, რომელიც უსდ-ს გადაეცა 1 (ერთი) წლით დროებითი სარგებლობისათვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ სივრცეში განთავსებულია წიგნსაცავის მცირე ნაწილი - წიგნები, რომლების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია ძირითად სახელმძღვანელოდ. უსდ-ში არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია კიდევ ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკის თანამშრომლები ატარებენ შეხვედრებს სტუდენტებთან და უხსნიან მათ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს: წიგნის გამოთხოვა, წიგნით სარგებლობის წესები, უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილი სამეცნიერო ბაზები, ამ ბაზებით სარგებლობის წესი, ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ა.შ.

ბიბლიოთეკაში განთავსებული არის კომპიუტერები და პერსონალის განმარტებით, სამუშაო სივრცე გათვლილია 22 სტუდენტზე. ამავე შენობაში მდებარეობს კომპიუტერული

ლაბორატორია, სადაც განთავსებულია 22 კომპიუტერი. ყველა კომპიუტერი ჩართულია ინტერნეტ ქსელში; კომპიუტერში ძირითადად ჩატვირთულია საოფისე პროგრამები და ლაბორატორიაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების განმარტებით, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე არ არის რაიმე სპეციფიური პროგრამის ინსტალაციის აუცილებლობა. ადამიანის ანატომიის ლექციისათვის ლექტორი თავად უზრუნველყოფს სიმულაციური პროგრამის ჩვენებას. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უკაბელო ინტერნეტის მიწოდებას.

უსდ-ს ბექდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია და აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განმარტებით, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევასა და კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას.

ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და პროგრამის ხელმძღვანელების განმარტებით, საბიბლიოთეკო რესურსების განახლებაზე მოთხოვნა ძირითადად მოდის აკადემიური პერსონალისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან. მოთხოვნის საფუძველზე ბიბლიოთეკის თანამშრომლები უზრუნველყოფენ სათანადო წიგნებისა თუ რესურსების შესყიდვას.

საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში და ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის მათ მიწოდებას. უსდ-ს წარმომადგენლების განმარტებით, მოთხოვნის შესაბამისად ისინი უზრუნველყოფენ ძირითადი წიგნსაცავიდან სამკითხველო დარბაზში სტუდენტისათვის წიგნის მიწოდებას. თუ სტუდენტი დღის დასაწყისით მოითხოვს წიგნს, დღის ბოლომდე ხდება მისი სტუდენტისათვის მიწოდება. ხოლო თუ ბიბლიოთეკაში მოთხოვნა შევიდა დღის ბოლოსათვის, ისინი წიგნის მიწოდებას უზრუნველყოფენ მეორე დღისთვის. ბიბლიოთეკაში 4 (ოთხი) თანამშრომელი მუშაობს 2 (ორ) ცვლაში: 1) 09:00-დან 17:00-მდე და 2) 14:00-დან 20:00-მდე. შაბათს ბიბლიოთეკა მუშაობს 09:00-დან 17:00-მდე.

სტუდენტებსა და უსდ-ს პერსონალს აქვთ წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე: <http://sportuni.ge/category-info/165/>; არის ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობის შესაძლებლობა: <http://www.bib.sportuni.ge/home/index.php>; ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი, სადაც შეიძლება ბიბლიოთეკაში არსებული რესურსების მოძიება: <http://www.bib.sportuni.ge/opac/index.php>; ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე ასევე განთავსებულია ელექტრონული წიგნები და ნებისმიერ მსურველს შეუძლია დაბრკოლების გარეშე ისარგებლოს ამ რესურსებით: <http://sportuni.ge/category-info/179/>. ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის განმარტებით, რეგულარულად ტარდება საინფორმაციო სახის შეხვედრები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან, სადაც მათ დეტალურად უხსნიან სამეცნიერო ბაზებითა და ელექტრონული რესურსებით სარგებლობის წესებსა და შესაძლებლობებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ხელშეკრულება ელექტრონული სერვისების სისტემის მომსახურების შესახებ;
- ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც შემუშავებულია 2019 წელს, SWOT ანალიზის თანახმად, ერთ-ერთ სუსტ მხარედ აღნიშნულია ელექტრონული სწავლების სისტემის უქონლობა. შესაბამისად, სტრატეგიულ ამოცანებში საინფორმაციო რესურსების განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს. სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, სამწლიან სამოქმედო გეგმაში (2021-2023) გაწერილია უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული მართვის სისტემის განვითარების და ვებ-გვერდის განახლების გეგმა. როგორც ამ გეგმის შესრულების ინდიკატორი აჩვენებს და რაც ექსპერტთა ვიზიტის დროსაც გამოვლინდა, უკვე დანერგილია ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული მართვის სისტემა, კერძოდ, უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ პლატფორმას Start, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთათვის. 2021 წლიდან უნივერსიტეტი სარგებლობს ელექტრონული სერვისების სისტემის მომსახურებით ერთი წლის ვადით. ხელშეკრულების თანახმად, მათ სარგებლობაშია ერთი სერვერი, ოპერაციული სისტემა, 32 გბ ოპერატიული მეხსიერება, მყარი დისკი და IP მისამართი. სერვერზე მიმდინარეობს ყოველდღიური მონიტორინგი, დაცულია შეტევებისაგან და ხდება მონაცემთა ბაზის რეზერვაცია. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების თანახმად ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა ევალება შემსრულებელ კომპანიას; გაწერილია ფორს-მაჟორ სიტუაციებში დაკისრებული ვალდებულებების შესრულების საკითხები. ყოველივე ზემოთაღნიშნული განაპირობებს იმას, რომ უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და გამართულად მუშაობს. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს ორივე ლოკაციაზე (ჭავჭავაძის გამზირზე არსებულ კორპუსსა და ჯიქიას ქუჩაზე არსებულ ფართზე) ინტერნეტის უწყვეტ რეჟიმში მიწოდების მიზნით ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული კომპანია „სილქნეტთან“. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა ინტერნეტთან წვდომა სტუდენტებისთვის განკუთვნილ კომპიუტერებზე. რაც შეეხება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, საჭიროების შემთხვევაში, ისინი იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას ინტერნეტთან წვდომით, ჯიქიას ქუჩაზე მათთვის გამოყოფილ ფართზე ყოფნისას. შექმნილია ელექტრონული ფოსტა ყველა მომხმარებლისათვის: სტუდენტები, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

მართვის ელექტრონული სისტემა ჩაშენებულია ელექტრონულ პლატფორმა Start-ში და ის ემსახურება როგორც ადმინისტრაციას, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე სტუდენტებს. სისტემა შედეგება სხვადასხვა ჩანართებისგან. ექსპერტთა ვიზიტის დროს გადამოწმდა აღნიშნული სისტემის მუშაობა, როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტთა მხარე, მაგალითად, სტუდენტთა გვერდი შედგება შემდეგი ჩანართებისაგან: პირადი მონაცემები, შეტყობინებები, განცხადებები, ელ.სწავლება, ელ.კანცელარია, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო ბარათი, აკადემიური რეგისტრაცია, ცხრილი, ფინანსები, GPA დინამიკა, ლოგები, დავალებები, ბრძანებები. ყველა ჩანართი მუშაობდა გამართულად და გამოსაყენებლად არის მარტივი. სისტემის თითოეულ მომხმარებელს აქვს საკუთარი გვერდი, საიდანაც მართავს პროცესებს შესაბამისად. დოკუმენტბრუნვისათვის უნივერსიტეტი იყენებს ელექტრონულ სისტემა eFlow-ს. პანდემიის დადგომასთან ერთად უნივერსიტეტმა აქტიურად დაიწყო ZOOM ელექტრონული პლატფორმის გამოყენება, რომელს საწყის ეტაპზე შემოიფარგლებოდა უფასო ვერსიით, თუმცა შემდგომ მოხდა მისი ულიმიტოდ გამოყენების მიზნით, მოხდა შექმნა და დღეს, მეცადინეობები და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი სხვა ონლაინ ღონისძიებები მიმდინარეობს შეზღუდვების გარეშე ამ პლატფორმის გამოყენებით.

უნივერსიტეტს აქვს კომპიუტერული ტექნიკა სწავლებისათვის სადემონსტრაციო საშუალებებთან ერთად, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს ზოგი იყო შენახული, რადგან პანდემიის გამო პირისპირ მეცადინეობები არ მიმდინარეობს. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის დროს, უნივერსიტეტმა დროებით სახლში სარგებლობაში კომპიუტერებით უზრუნველყო სტუდენტები, ვინც ამ დახმარებას საჭიროებდა.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შპს „Skillers“-სთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები დომენისა და ჰოსტინგის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის ვებ გვერდი მუშაობს გამართულად, კერძოდ, განახლებულია ვებ გვერდი ქართულ ენაზე და მიმდინარეობს ინგლისურენოვანი გვერდის განახლება. ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული სერვისებით. ვებ გვერდზე განთავსებულია ელექტრონული კატალოგი, საკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები, ელ. სახელმძღვანელოები, შესაძლებელია ელ.ბაზებთან წვდომა. ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხელშეკრულება ელექტრონული სერვისების სისტემის მომსახურების შესახებ;
- ხელშეკრულებები ინტერნეტ პროვაიდერთან;
- ვებ გვერდი;
- დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

უსდ-მ წარმოადგინა 2021 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2021 წლისათვის განისაზღვრა 1 500 000 ლარის ასიგნებები. ხარჯები მოიცავს შემდეგ მუხლებს: შრომის ანაზღაურება - 550 000 ლარი, საქონელი და მომსახურება - 930 00 ლარი, რომელიც მოიცავს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურებას -546 00 ლარით, ოფისის ხარჯები - 182 000 ლარი, კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 30000 ლარი, რეკლამის ხარჯი 5000 ლარი, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი - 55 000 ლარი, კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები - 35 000 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 15 000 ლარით; მანქანა დანადგარების და ინვენტარის შეძენის ხარჯი - 15000 ლარი, კომპიუტერების შეძენის ხარჯი - 15000 ლარი; კომუნალური ხარჯი - 114 000 ლარი;

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას მთავარი შენობა ნაგებობა ავარიულ რეჟიმში იმყოფება ვფქრობთ უნდა გამოიყოს თანხა ამ საკითხის სწრაფად მოგვარების მიზნით, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას ჩვეულ რეჟიმში იფუნქციონეროს და განვითარდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უსდ-ს ბიუჯეტი/ამონაწერი ფოტის ფართის პროცესის განხორციელებისა და განვითარებასთან დაკავშირებით.
- უძრავი ქონების ფლობის/სარგებლობის უფლების დამადასურებელი დოკუმენტაცია.
- მოძრავი ქონების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფის განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტი ფოტის ფართთან მიმართებით;
- ადმინისტრირების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების წესი;
- ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარებაზე გაწეული და დაგეგმილი ხარჯები;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის დოკუმენტი;
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირების შეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ ბიუჯეტში დროულად განსაზღვროს საკმარისი თანხა შენობა-ნაგებობის უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

შეფასება:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან